

# პრაქტიკის კომპონენტის აღწერა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

|                                                                        |                                     |
|------------------------------------------------------------------------|-------------------------------------|
| ზოგადი ინფორმაცია                                                      | <b>Error! Bookmark not defined.</b> |
| მიზანი                                                                 | 2                                   |
| ხანგრძლივობა                                                           | 2                                   |
| სტრუქტურა                                                              | 2                                   |
| მოსალოდნელი შედეგები                                                   | 2                                   |
| სტუდენტის შეფასება                                                     | 3                                   |
| პრაქტიკის განხორციელების ეტაპების აღწერა                               | 3                                   |
| პარტნიორი სკოლები                                                      | <b>Error! Bookmark not defined.</b> |
| პარტნიორი სკოლები                                                      | 3                                   |
| სტუდენტთა სკოლებში გადანაწილების მექანიზმები                           | 4                                   |
| პრაქტიკის მონიტორინგი და შეფასება                                      | 5                                   |
| პროგრამის შემაჯამებელი პორტფოლიო                                       | 5                                   |
| დანართი N1 - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი                         | 8                                   |
| 2.1.1 სასკოლო პრაქტიკის ფარგლებში უნივერსიტეტი ვალდებულია:             | 8                                   |
| დანართი N2 - სკოლების ბაზა                                             | 12                                  |
| დანართი N3 - კითხვარი სკოლებისთვის                                     | 19                                  |
| დანართი №5 - წერილი და თანხმობის ფურცელი სკოლების დირექტორებისთვის     | 28                                  |
| პრაქტიკის გავლის თანხმობის ფურცელი                                     | 28                                  |
| დანართი N7 - სტუდენტის მიერ პრაქტიკის შეფასების კითხვარი               | 31                                  |
| სკოლის შეფასება                                                        | 32                                  |
| დანართი N8 - პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის შეფასების კითხვარი | 35                                  |

## მიზანი

პედაგოგიური პრაქტიკის მიზანია, საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე, ხელი შეუწყოს სტუდენტებს განვიტარონ 21-ე საუკუნის მასწავლებლისთვის აუცილებელი პროფესიული უნარები, რაც, თავის მხრივ, წარმატებული პედაგოგიური კარიერის წინაპირობაა.

## ხანგრძლივობა

პრაქტიკის კომპონენტი გამჭოლად გასდევს პროგრამას და მისი განუყოფელი ნაწილია.

## სტრუქტურა

წარმოდგენილი მოდელის მიხედვით სასკოლო პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება ორი ფორმატით:

1. კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა;
  2. პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსები.
1. **კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა** ინტეგრირებულია პროგრამის სასწავლო კურსებში და ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. (იხ, შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები)
  2. **პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსები** კრავს და ამთლიანებს იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომელსაც სტუდენტი დაეუფლა თეორიული კურსებისა და კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის გავლის პერიოდში.  
დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათების <sup>1</sup> რაოდენობის მინიმუმ 60% ეთმობა სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად ან პრაქტიკის კომპონენტში ჩართული მხარეების <sup>2</sup> თანამონაწილეობით განხორციელებულ სასწავლო აქტივობებს. (იხ, დამოუკიდებელი პრაქტიკის სასწავლო კურსების სილაბუსები)  
სტუდენტი პრაქტიკის დამოუკიდებელ კურსს გადის პროგრამის დამამთავრებელ სემესტრში.

## მოსალოდნელი შედეგები

პრაქტიკის წარმოდგენილი მოდელი სტუდენტს დაეხმარება შემდეგი საკვანძო კომპეტენციების განვითარებაში:

- სტუდენტი შეძლებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების, მათ შორის სპეციალური

---

<sup>1</sup> საკონტაქტო საათები გულისხმობს სტუდენტის საკონტაქტო საათებს ლექტორთან კურსის ხელმძღვანელთან) ან/და პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელთან (ტუტორთან) ან პრაქტიკულ აქტივობებში ჩართულ სხვა პირებთან.

<sup>2</sup> აქტივობა სტუდენტმა შეიძლება განახორციელოს პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლის, კურსის ხელმძღვანელის ან, ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში, სხვა სტუდენტებთან თანამონაწილეობით.

საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავებას და მის საფუძველზე სასწავლო პროცესის წარმართვას;

- სტუდენტი შეძლებს მოზარდის განვითარებისა და განათლების თეორიების, სწავლისა და სწავლების ინოვაციური სტრატეგიების (უნივერსალური დიზაინი, დიფერენცირებული სწავლება და სხვა) ეფექტიანად გამოყენებას სწავლების პროცესში;
- სტუდენტი შეძლებს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მეთოდების მიზნობრივ გამოყენებას მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის შესაფასებლად;
- სტუდენტი შეძლებს კომუნიკაციისა და კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენებას,
- სტუდენტი შეძლებს კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას;
- სტუდენტი შეძლებს საკუთარი სასკოლო პრაქტიკის თვითშეფასებისა და კოლეგების შეფასების საფუძველზე კოპლექსურად გააანალიზოს პრაქტიკის ეფექტიანობა, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და შეიმუშაოს პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმა.

ჩაშენებული და დამოუკიდებელი პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტების მიერ სკოლაში განსახორციელებელი აქტივობები და სასკოლო პრაქტიკის კონკრეტული შედეგები განსაზღვრულია შესაბამისი კურსების სილაბუსებით.

#### სტუდენტის შეფასება

- კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტის შეფასებას აწარმოებს კურსის ხელმძღვანელი და ითვალისწინებს პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლის მიერ სტუდენტის შეფასებას (დანართი # 7). კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის შეფასების წილი საერთო შეფასების მინიმუმ 30%-ს შეადგენს.
- სასკოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის შემთხვევაში სტუდენტი ფასდება მხოლოდ პედაგოგიური პრაქტიკის დროს განხორციელებული აქტივობებით. პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლის შეფასების წილი შეადგენს საერთო შეფასების მინიმუმ 10 პროცენტს.

ჩაშენებული და დამოუკიდებელი პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტების მიერ სკოლაში განსახორციელებელი აქტივობების შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები განსაზღვრულია შესაბამისი კურსების სილაბუსებით.

#### პრაქტიკის განხორციელების ეტაპების აღწერა

#### პარტნიორი სკოლები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. სასკოლო პრაქტიკა ყოველთვის წარმოადგენდა მასწავლებლის მომზადების პროგრამების მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც სხვადასხვა ინტენსივობითა და

მიდგომებით სკოლებთან პარტნიორობის ფარგლებში სისტემატიურად ხორციელდებოდა. აღნიშნული გამოცდილების, **ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)** მიზნებისა და, ასევე, უნივერსიტეტთან თანამშრომლობით დაინტერესებული სკოლების საჭიროების გათვალისწინებით გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეების უფლებები და მოვალეობები. (დანართი N1)

უნივერსიტეტს შექმნილი აქვს პარტნიორი სკოლების ბაზა. (დანართი N2) აღნიშნული ბაზა განახლებადია ყოველი აკადემიური წლის დაწყებამდე.

ყოველი აკადემიური წლის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე უნივერსიტეტი ახორციელებს სკოლებიდან პრაქტიკის კომპონენტის ორგანიზებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას. (დანართი N3)<sup>3</sup>

აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისთვის და პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სხვა პირებისთვის.

#### სტუდენტთა სკოლებში გადანაწილების მექანიზმები

სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (დანართი №3) დგინდება, რამდენი პრაქტიკანტის მიღების შესაძლებლობა აქვს სკოლას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით სტუდენტები ნაწილდებიან შესაბამის სკოლებში. სტუდენტთა სკოლებში განაწილებას ახორციელებს პრაქტიკის კოორდინატორი. განაწილების შედეგები თავს იყრის ერთიან ელექტრონულ ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია კურსის ხელმძღვანელებისთვის. (დანართი №4).

პროგრამის მონაწილეთა გადანაწილების ელექტრონული ბაზის სამართავად გამოყენებულია Google Drive.

კურსის ხელმძღვანელი ვალდებულია, პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესში სტუდენტთა სკოლებში განაწილებაში შეტანილი ცვლილებების საჭიროების შესახებ აცნობოს პრაქტიკის კოორდინატორს, რომელიც უზრუნველყოფს ცვლილების განხორციელებას და ელექტრონულ ბაზაში მის ასახვას.

პრაქტიკის ადგილის ცვლილება ხორციელდება კურსის ხელმძღვანელის, პარტნიორი სკოლისა და სტუდენტს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

როგორც ჩაშენებული, ასევე დამოუკიდებელი პრაქტიკა ხორციელდება ჯგუფური მუშაობის ფორმატში. ჯგუფებში მონაწილეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხს.

პრაქტიკანტების სკოლებში გადანაწილების შემდეგ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სკოლებს საინფორმაციო შინაარსის წერილს. სტუდენტთა განაწილება ამა თუ იმ სკოლაში დასტურდება სკოლის დირექტორის თანხმობის წერილით (დანართი №5).

---

<sup>3</sup> პრაქტიკის დაგეგმვა და წარმართვა წარმოადგენს ერთიან პროცესს განათლების მიმართულების ყველა პროგრამისათვის. აღნიშნულ პროცესს ორგანიზებას უწევს განათლების სკოლა. ამიტომ პრაქტიკის ნაწილში გამოყენებული ინსტრუმენტები საერთოა განათლების მიმართულების ყველა პროგრამისათვის.

პრაქტიკის დაწყებამდე პრაქტიკის კოორდინატორი და შესაბამისი კურსების ხელმძღვანელები ორგანიზებას უწევენ საინფორმაციო შეხვედრებს პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებლებთან და სკოლის დირექტორებთან.

#### პრაქტიკის მონიტორინგი და შეფასება

სტუდენტთა პრაქტიკის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მთავარი მიზანია განისაზღვროს განხორციელებული პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები, დაგეგმვისას და განხორციელებისას დაშვებული ხარვეზები, გამოვლინდეს მიზნის მიღწევის სხვა, ალტერნატიული საშუალებები და სტრატეგიები, რაც პროცესის შემდგომ განვითარებასა და დახვეწას შეუწყობს ხელს.

პრაქტიკის მონიტორინგისთვის გამოყენებული იქნება შემდეგი ინსტრუმენტები:

საინფორმაციო ელექტონული ბაზები (დანართი №4);

პრაქტიკის განხორციელების გეგმა, რომელიც ჩაშენებული პრაქტიკის შემთხვევაში არის შესაბამისი კურსის სილაბუსის შემადგენელი ნაწილი, ხოლო დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსების შემთხვევაში თავად სილაბუსები.

პარტნიორი სკოლებიდან მიღებული პრაქტიკის კომპონენტის ორგანიზებისათვის საჭირო ინფორმაცია. (დანართი №3);

პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებლებთან, პარტნიორი სკოლების ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო, შუალედური და შემაჯამებელი შეხვედრები;

პრაქტიკანტთა სკოლებში ვიზიტების ამსახველი დღიურები, რომლებსაც აწარმოებს სტუდენტი და რომელთა ნამდვილობაც დასტურდება პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლის ხელმოწერით (დანართი №6);

პრაქტიკის პორტფოლიოები, რეფლექსიები, მასწავლებლებთან ინტერვიუების ტრანსკრიპტები ან აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, რომლებსაც სტუდენტი პრაქტიკის მიმდინარეობისას სისტემატიურად აწარმოებს;

დამოუკიდებელი პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში კურსის ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული დაკვირვება სტუდენტის მიერ ჩატარებულ გაკვეთილსა თუ განხორციელებულ სხვა აქტივობაზე..

კურსის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული ანალიტიკური ანგარიში;

სკოლებიდან მიღებული სარეკომენდაციო თუ სხვა შინაარსის შეტყობინებები;

სტუდენტების მიერ პრაქტიკის შეფასება (დანართი №7);

მასწავლებლის მიერ პრაქტიკანტის შეფასების ფურცლები (დანართი №8);

სკოლების გამოკითხვები პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ.

პროგრამის შემაჯამებელი პორტფოლიო

პროგრამის დასასრულს სტუდენტი წარმოადგენს შემაჯამებელ პორტფოლიოს. პორტფოლიო სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტია, რომლის მიზანია სტუდენტის იმ პრაქტიკული კომპეტენციების შეჯამება და შეფასება, რომელთა განვითარებაც მოხდა **ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ფარგლებში.**

სტუდენტმა შემაჯამებელ პორტფოლიოში, თვითშეფასების საფუძველზე, უნდა წარმოადგინოს პროგრამის განმავლობაში მის მიერ შექმნილი საუკეთესო ნაშრომები (მტკიცებულებები), რომლებიც ადასტურებენ შემდეგ კომპეტენციებს:

### **შემაჯამებელი პორტფოლიო**

პროგრამის დასასრულს სტუდენტი წარმოადგენს შემაჯამებელ პორტფოლიოს. პორტფოლიო სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტია, რომლის მიზანია სტუდენტის მეთოდური კომპეტენციების შეჯამება და შეფასება, რომელთა განვითარებაც მოხდა პროგრამის ფარგლებში.

შემაჯამებელი პორტფოლიოს კომპონენტში სტუდენტის შეფასების ფორმაა „ჩათვლა“. პორტფოლიოს შემფასებელი სტუდენტს აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს დასკვნის სახით. კურსდამთავრებულს პროგრამა დასრულებულად ჩათვლება შემაჯამებელი პორტფოლიოს დადებითად შეფასების შემთხვევაში.

სტუდენტმა შემაჯამებელ პორტფოლიოში, თვითშეფასების საფუძველზე, უნდა წარმოადგინოს პროგრამის განმავლობაში მის მიერ შექმნილი საუკეთესო ნაშრომები (მტკიცებულებები), რომლებიც ადასტურებენ პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრულ კომპეტენციებს. თითოეულ მტკიცებულებას თან უნდა ახლდეს რეფლექსია განხორციელებულ აქტივობაზე. შემაჯამებელი პორტფოლიოს ფარგლებში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მტკიცებულებები:

- **თემატური და გაკვეთილის გეგმა**  
პროგრამის მონაწილის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმა ამოწმებს რამდენად შეუძლია გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავება ყველა კომპონენტისა და მათ შორის კავშირების გათვალისწინებით.
- **გაკვეთილის ვიდეოჩანაწერი**  
პროგრამის მონაწილის მიერ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერი ამოწმებს შეუძლია თუ არა პროგრამის მონაწილეს გეგმის საფუძველზე გაკვეთილის წარმართვა; გაკვეთილის ვიდეოჩანაწერი უნდა წარმოადგენდეს იმის მტკიცებულებას, რომ პროგრამის მონაწილეს შეუძლია დიფერენცირებული მიდგომით მოსწავლეებს განუვითაროს ისეთი გამჭოლი უნარები და ღირებულებები, როგორიცაა შემოქმედებითობა, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი. ასევე შეძლოს კლასის მართვის, კომუნიკაციის, სწავლებისა და შეფასების მეთოდებისა და რესურსების, მათ შორის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება;
- **საუკეთესო ნაშრომები**  
პროგრამის მონაწილის მიერ შემაჯამებელ პორტფოლიოში წარმოდგენილი, პროგრამის მსვლელობისას სხვადასხვა კურსებში შესრულებული ნაშრომები ადასტურებენ მის შემდეგ კომპეტენციებს:
  1. რეფლექსია;
  2. დიფერენცირებული მიდგომა, მათ შორის სსსმ მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინება.
  3. კოლეგებთან თანამშრომლობა / კოლეგების შეფასება;
  4. მოსწავლეთა შეფასების შედეგების ანალიზი / ანალიზის შედეგების გამოყენება;

5. პროფესიული ეთიკა;
6. სასწავლო გეგმის მოდიფიცირება.

- **პროფესიული განვითარების გეგმა**

**პროგრამის მონაწილის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განვითარების გეგმა ამოწმებს:**

1. თვითშეფასების უნარს;
2. თვითდაკვირვებისა, უკუკავშირისა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გამოტანის, თვითშეფასებისა და პროფესიული განვითარების დაგეგმვის უნარს;

შემაჯამებელ პორტფოლიოში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისას გამოყენებული იქნება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული მასწავლებლის შიდა შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტები [http://tpdc.gov.ge/uploads/pdf\\_documents/instrumentebi.pdf](http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/instrumentebi.pdf) და/ან იმ კურსის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების რუბრიკა, რომელი კურსის ფარგლებშიც განხორციელდა მტკიცებულებად წარმოდგენილი აქტივობა.



დანართი N1 - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი, -----

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა  
და ----- სკოლას შორის

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი), წარმოდგენილი რექტორის, გიგა ზედანიას, სახით და ----- სკოლა (შემდგომში - სკოლა) წარმოდგენილი დირექტორის, -----, სახით ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

### 1. მემორანდუმის საგანი

1.1 წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის სტუდენტთა სტაჟირებას სკოლების ბაზებზე პედაგოგიური პრაქტიკის, კვლევებისა და სხვადასხვა ერთობლივი აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.

### 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. სასკოლო პრაქტიკის, კვლევის, ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში მხარეები იღებენ შემდეგ ვალდებულებებს.

#### 2.1.1 სასკოლო პრაქტიკის ფარგლებში უნივერსიტეტი ვალდებულია:

- ა) ჩამოაყალიბოს პრაქტიკის კონცეფცია, რომელშიც მოცემული იქნება პრაქტიკის, როგორც პროგრამის კომპონენტის, მიზანი, შედეგები, შეფასების სისტემა (მათ შორის კრიტერიუმები), ხანგრძლივობა, დატვირთვა (როგორც სტუდენტის, ასევე ხელმძღვანელის), ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ბ) პრაქტიკის კონცეფციის ჩამოყალიბების და განხილვის პროცესში ჩართოს სკოლის ადმინისტრაცია;
- გ) კოორდინირება გაუწიოს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას;

დ) ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციასთან და პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელთან, სემინარები პრაქტიკის პროცედურასა და პროგრამის იმ კურსის თემატიკაზე, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს პრაქტიკა;

ე) უზრუნველყოს პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლების პერიოდული ტრენინგები კომპონენტის მოთხოვნების და სპეციფიკის გათვალისწინებით;

ვ) აწარმოოს პრაქტიკის მონიტორინგი, გააანალიზოს მონიტორინგის შედეგები და მოამზადოს რეკომენდაციები პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით;

ზ) უზრუნველყოს სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობა პრაქტიკის, როგორც პროგრამის კომპონენტის, გაუმჯობესების პროცესში;

თ) პრაქტიკის კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დახმარება გაუწიოს პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელს პროფესიულ განვითარებაში ინდივიდუალური კონსულტაციებით, ლექციებზე დასწრებით, უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის უფლებითა და კურსების ფარგლებში გამოყენებული რესურსების გაზიარებით;

ი) წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით შეაფასოს პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლის მუშაობა სტუდენტებთან;

კ) სკოლის მოთხოვნისა და შესაბამისი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, შესთავაზოს სკოლას შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულების სტუდენტი ან უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სტაჟიორის, ასისტენტ-მასწავლებლის/მასწავლებლის თანამდებობაზე.

### **2.1.2. სასკოლო პრაქტიკის ფარგლებში სკოლა ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს პრაქტიკანტისთვის უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისი საგნის / საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის/ ინკლუზიური განათლების საკითხებზე პასუხისმგებელი პირის შერჩევა პრაქტიკის ხელმძღვანელად;

ბ) უზრუნველყოს სასკოლო პრაქტიკის შეუფერხებელი განხორციელება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პრაქტიკის კონცეფციის შესაბამისად;

გ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მხრიდან დაგეგმილ პრაქტიკასთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში;

დ) დაეხმაროს სტუდენტს სასკოლო პრაქტიკის ორგანიზაციული მხარის მოგვარებაში;

ე) შეატყობინოს უნივერსიტეტს სტუდენტის მხრიდან პრაქტიკის მიმდინარეობისას წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემის შესახებ;

ვ) ხელი შეუწყოს პრაქტიკანტს დაგეგმილი რაოდენობის საგაკვეთილო საათებზე დაკვირვებაში, ასისტირებასა და ჩატარებაში;

ზ) გამართოს პრაქტიკანტებთან რეგულარული სარეფლექსიო დისკუსიები, მისცეს კონსტრუქციული უკუკავშირი პრაქტიკის გასაუმჯობესებლად;

თ) პრაქტიკის კომპონენტის საჭიროებიდან გამომდინარე და პრაქტიკანტის დაინტერესების შემთხვევაში, ჩართოს პრაქტიკანტი სასკოლო ცხოვრების არასაკავშირებელი აქტივობებში;

ი) უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეაფასოს პრაქტიკანტი და წერილობით გადასცეს იმ კურსის ხელმძღვანელს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პრაქტიკა;

კ) უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ პრაქტიკანტს/სტაჟიორ მასწავლებელს/ მასწავლებელს შეუქმნას ყველა პირობა პროფესიული განვითარებისა და თვითრეალიზებისათვის.

#### **2.1.3. კვლევის ფარგლებში უნივერსიტეტი ვალდებულია:**

ა) დაეხმაროს სკოლას პრობლემების იდენტიფიცირებაში, მის გაანალიზებაში ან / და ინტერვენციების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში;

ბ) დაეხმაროს კვლევაში ჩართულ მასწავლებლებს კვლევითი კომპეტენციის ამაღლებაში;

გ) აწარმოოს მონიტორინგი უნივერსიტეტისა და სკოლის მიერ ერთობლივად დაგეგმილი კვლევის მიმდინარეობაზე და პერიოდულად მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები კვლევის გასაუმჯობესებლად.

#### **2.1.4. კვლევის ფარგლებში სკოლა ვალდებულია:**

ა) ხელი შეუწყოს სტუდენტთა ჯგუფს კვლევის შეუფერხებლად განხორციელებაში;

ბ) უზრუნველყოს მასწავლებლების აქტიურად ჩართვა კვლევის პროცესში;

გ) შეაფასოს სტუდენტების მიერ სკოლაში განხორციელებული სამუშაო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული შეფასების ინსტრუმენტის საშუალებით;

დ) საჭირო მხარდაჭერაზე უარის თქმის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, დაასაბუთოს უარის მიზეზი წერილობით.

#### **2.1.5. ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში უნივერსიტეტი ვალდებულია:**

ა) სკოლებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით, ხელი

შეუწყოს უნივერსიტეტთან მემორანდუმით გაფორმებული სკოლების ქსელის ჩამოყალიბებასა და მის საქმიანობას;

ბ) ხელი შეუწყოს მემორანდუმის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ქსელში შემავალ სკოლებს საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაში (კონფერენციები, ერთობლივი პუბლიკაციები, ერთობლივი პროექტების მომზადება და ა.შ.);

გ) მხარი დაუჭიროს აღნიშნულ ქსელში შემავალ სკოლებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებაში და ექსპერიმენტების წარმართვაში უნივერსიტეტის ლაბორატორიის გამოყენებით;

დ) აღნიშნულ ქსელში შემავალ სკოლებს შესთავაზოს აქტუალურ საკითხებზე საჯარო ლექციები, მასწავლებლებთან ერთად სამოდულო გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება.

#### **2.1.6. ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში სკოლა ვალდებულია:**

აქტიურად ჩაერთოს მემორანდუმის ფარგლებში ჩამოყალიბებული სკოლების ქსელის მუშაობაში.

### **3. მემორანდუმის მოქმედების ვადა**

3.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხუთი წლის ვადით, მემორანდუმის შეწყვეტა დასაშვებია 30 დღით ადრე მხარეთა წერილობითი მიმართვის საფუძველზე;

3.2 წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების გზით;

3.3 მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

დანართი N2 - სკოლების ბაზა

| # | რეგიონი               | სკოლის დაახელება                                                       | დირექტორის<br>სახელი, გვარი | სკოლის<br>საკონტაქტო<br>ინფორმაცია<br>(ტელეფონის<br>ნომერი) | ელ. ფოსტა (სკოლის)   | სკოლის მისამართი                          |
|---|-----------------------|------------------------------------------------------------------------|-----------------------------|-------------------------------------------------------------|----------------------|-------------------------------------------|
| 1 | გლდანი-<br>ნამალადევი | შპს ქალაქ თბილისის საშუალო<br>სკოლა "ლამპარი"                          | დარეჯან ქადაგიძე            |                                                             | lampari99@gmail.com  | ქ. თბილისი, ჭყონდიდელის 26                |
| 2 | ქვემო ქართლი          | სსიპ ქალაქ რუსთავის 23-ე საჯარო<br>სკოლა                               | შპია კიწმარიშვილი           | 341285522                                                   | rustavi23@mes.gov.ge | ქ. რუსთავის XII მიკრორაიონის<br>49 ა      |
| 3 | ვაკე-<br>საბურთალო    | შპს ასი ათასი მოწამის სახელობის<br>სკოლა ფესეხი                        | მანანა<br>გვირგიშვილი       | 2532514                                                     | phesvebi@yahoo.com   | ქ. თბილისი, დ/დილომი<br>დ.თავდადებულის ნა |
| 4 | ვაკე-<br>საბურთალო    | ქართულ-ამერიკული სკოლა                                                 | ირმა მესხიშვილი             | 2221616                                                     | info@gas.edu.ge      | ქ. თბილისი, წამიშვილის #6                 |
| 5 | ქვემო ქართლი          | სსიპ ქალაქ რუსთავის 21-ე საჯარო<br>სკოლა                               | ნინო გავაშელი               | 341221271                                                   | rustavi21@mes.gov.ge | ქ. რუსთავი, მესხიშვილის II<br>გასას. #3   |
| 6 | ქვემო ქართლი          | სსიპ ქალაქ რუსთავის 20-ე საჯარო<br>სკოლა                               | ირმა იჩქიტაძე               |                                                             | rustavi20@gmail.com  | ქ. რუსთავი, მეგობრობის ქუჩა<br>35ა        |
| 7 | გლდანი-<br>ნამალადევი | ქართულ-ამერიკული უმაღლესი<br>სკოლა                                     | მამუკა მესხიშვილი           |                                                             | mathmamuka@lycos.com | ქ. თბილისი, გ. ჭყონდიდელის<br>18          |
| 8 | ვაკე-<br>საბურთალო    | სსიპ სოფიკო ჭიაურელის<br>სახელობის ქალაქ თბილისის 54-ე<br>საჯარო სკოლა | ქეთევან ჩოქური              | 2221156                                                     | tbilisi54@mes.gov.ge | ქ. თბილისი, ფალიაშვილის 59                |

|    |                   |                                                                                           |                             |                  |                             |                                    |
|----|-------------------|-------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------|------------------|-----------------------------|------------------------------------|
| 9  | ისანი-სამგორი     | თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია "შავნაბადა"                                         | ავთანდილ აბდუშელიშვილი      | 2778427          | a.abdushelishvili@gmail.com | ქ. თბილისი, წულაძის 22             |
| 10 | ქვემო ქართლი      | სსიპ ქალაქ რუსთავის 25-ე საჯარო სკოლა                                                     | თეა ტაბატაძე                | 341279331        | tea5577@Yahoo.com           | ქ. რუსთავი, მე-20 მ/რ              |
| 11 | დიდუბე-ჩუღურეთი   | სსიპ ქალაქ თბილისის 4-ე საჯარო სკოლა                                                      | ელისო ლოლაშვილი-მერაბაშვილი | 2951023          | tbilisi4@mes.gov.ge         | ქ. თბილისი, ც. დადიანის 19         |
| 12 | გლდანი-ნაძალადევი | სსიპ ქალაქ თბილისის 190-ე საჯარო სკოლა                                                    | მაია გიორგაძე               | 2730530          | tbilisi190@mes.gov.ge       | ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. 3        |
| 13 | ისანი-სამგორი     | სსიპ ქალაქ თბილისის 74-ე საჯარო სკოლა                                                     | მარინე ჯარმელიშვილი         | 2776478          | tbilisi74@mes.gov.ge        | ქ. თბილისი, კაკაბეთის 2            |
| 14 | გლდანი-ნაძალადევი | სსიპ ქალაქ თბილისის 116-ე საჯარო სკოლა                                                    | ნანა ლაჭავა                 | 2348470          | tbilisi116@mes.gov.ge       | ქ. თბილისი, შ. იამანაძის 7         |
| 15 | ძველი თბილისი     | სსიპ გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის 20-ე საჯარო სკოლა                          | ლელა წერგაძე                | 2983421          | tbilisi20@mes.gov.ge        | ქ. თბილისი, ჯამბულის 5             |
| 16 | ძველი თბილისი     | სსიპ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის 42-ე საჯარო სკოლა | ნუგზარ კედელაშვილი          | 2990073, 2998210 | tbilisi42@mes.gov.ge        | ქ. თბილისი, ჩაიკოვსკის 9           |
| 17 | ისანი-სამგორი     | სსიპ ქალაქ თბილისის 180-ე საჯარო სკოლა                                                    | მიხეილ ლომიძე               | 2796133          | tbilisi180@mes.gov.ge       | ქ. თბილისი, ვარკეთილის 3, მე-3 მ/რ |
| 18 | ვაკე-საბურთალო    | სსიპ ქალაქ თბილისის 126-ე საჯარო სკოლა                                                    | ირინე ჭელიძე                | 2327464          | skola126@yahoo.com          | ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71       |

|    |               |                                                                                                  |                         |                 |                              |                                       |
|----|---------------|--------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------|-----------------|------------------------------|---------------------------------------|
| 19 | ძველი თბილისი | სსიპ ქალაქ ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საჯარო სკოლა                                  | მაგდა ბარამაძე          | 2950742/2955939 | tbilisi23@mes.gov.ge         | ქ. თბილისი დ. უზნაძის 59              |
| 20 | შიდა ქართლი   | სსიპ ქალაქ გორის 8-ე საჯარო სკოლა                                                                | ნანა ედიშერაშვილი       | 370272508       | gori8@mes.gov.ge             | ქ. გორი, პეტრიაშვილის 45              |
| 21 | შიდა ქართლი   | სსიპ ლესია უკრაინკას სახელობის ქალაქ ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის მე-3 საჯარო სკოლა      | ნანა სხილაძე            | -               | surami3@mes.gov.ge           | დაბა სურამი, აღმაშენებლის 82          |
| 22 | ძველი თბილისი | სსიპ ქალაქ თბილისის 212-ე საჯარო სკოლა                                                           | მედიკო მირზაშვილი       | -               | mediko.mirzashvili@gmail.com | თბილისი, შინდისი, მანსვეტაშვილის ქ. 1 |
| 23 | კახეთი        | სსიპ მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის 4-ე საჯარო სკოლა                                     | ეკატერინე გიგითელაშვილი | 350271424       | telavi4@mes.gov.ge           | ქ. თელავი, ერეკლე მეორის გამზირი 19   |
| 24 | გურია         | სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა                                                             | ტარიელ კალანდაძე        |                 | tatokala@gmail.com           | ოზურგეთი, გოგებაშვილის ქ.8            |
| 25 | კახეთი        | სსიპ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულის საჯარო სკოლა                                 | მაია ნაცვლიშვილი        | 350236151       | napareuli@mes.gov.ge         | სოფელი ნაფარეული                      |
| 26 | გურია         | სსიპ ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლა                                                             | თამაზ კილაძე            |                 | lanchkhuti1@mes.gov.ge       | ლანჩხუთი, ჟორდანას 123                |
| 27 | გურია         | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია | ლევან გიორგაძე          | 494223040       | lan.gimnazia@mail.ru         | ლანჩხუთი, მზაიდის ქ. 4                |
| 28 | იმერეთი       | სსიპ რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლა                                   | მარეხი ქათამაძე         |                 | zestafoni7@gmail.com         | ქ. ზესტაფონი, რუსთაველის 12           |

|    |                |                                                                                        |                     |           |                       |                                    |
|----|----------------|----------------------------------------------------------------------------------------|---------------------|-----------|-----------------------|------------------------------------|
| 29 | თბილისი        | სსიპ ქალაქ თბილისის N200 საჯარო სკოლა                                                  | მარინე უგმაჯურიძე   |           |                       | ქ. თბილისი, ქერჩის 22              |
| 30 | თბილისი        | სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა                                                  | ხათუნა გალადონია    |           |                       | ქ. თბილისი, გუთნის 6               |
| 31 | თბილისი        | სსიპ ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლა                                                  | თეონა ყაჭეიშვილი    |           |                       | ქ. თბილისი, შარტავას 20            |
| 32 | თბილისი        | სსიპ ქალაქ თბილისის N203 საჯარო სკოლა                                                  | ნინო კვარაცხელია    |           | tbilisi203@mes.gov.ge | ქ. თბილისი, წყევბიძის ქ. №5        |
| 33 | ქვემო ქართლი   | სსიპ ქალაქ დმანისის N1 საჯარო სკოლა                                                    | ინგა აბულაძე        |           | dmanisi1@mes.gov.ge   | ქ. დმანისი, თავისუფლების ხეივანი 1 |
| 34 | ქვემო ქართლი   | სსიპ ქალაქ რუსთავის 18-ე საჯარო სკოლა                                                  | ნატალია ჯავახიშვილი |           |                       | ქ. რუსთავი, მელიქიშვილის ქ. 7      |
| 35 | გურია          | სსიპ ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლა                                                   | ნანა გაგუა          |           | ozurgeti3@mes.gov.ge  | ოზურგეთი, ბათუმის ქ.87             |
| 36 | ძველი თბილისი  | სსიპ ქალაქ თბილისის 133-ე საჯარო სკოლა                                                 | ლიანა ფუტყარაძე     | 2612880   | skola133@gmail.com    | თბილისი,ვარდისუბნის ქ. 8           |
| 37 | ვაკე-საბურთალო | სსიპ ვლადიმერ კომაროვის სახელობის ქალაქ თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლა | ივანე კვიტაშვილი    | 2392781   | tbilisi199@mes.gov.ge | ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 49       |
| 38 | სამეგრელო      | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის 3-ე საჯარო სკოლა                       | ლელა კემულარია      | 493227962 | poti3@mes.gov.ge      | ქ. ფოთი, ზამზახიძის ქ. 3           |



|    |                |                                        |                                       |         |                               |                                                    |
|----|----------------|----------------------------------------|---------------------------------------|---------|-------------------------------|----------------------------------------------------|
| 39 | ისანი-სამგორი  | სსიპ ქალაქ თბილისის 156-ე საჯარო სკოლა | ნინო ბეგლარაშვილი                     | 2458252 | tbilisi156@mes.gov.ge         | ქ. თბილისი, ორბელიძის დასახლება, ჩანტლაძის ქუჩა 28 |
| 40 | ვაკე-საბურთალო | შპს თანამედროვე განათლების აკადემია    | დავით ლიპარტელიანი                    | 2913535 | info@cea.ge                   | ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 37                    |
| 41 | ვაკე-საბურთალო | სსიპ ქალაქ თბილისის 122-ე საჯარო სკოლა | მედეა ქოქრაშვილი                      | 2303395 | tbilisi122@mes.gov.ge         | თბილისი, ქავთარაძის ქუჩა №23ა                      |
| 42 | ვაკე-საბურთალო | სსიპ ქალაქ თბილისის 60-ე საჯარო სკოლა  | შოთა მაღლაზონია                       | 2392178 | sajaroskola60@gmail.com       | ალ.ყაზბეგის გამზ. #39                              |
| 43 | ვაკე-საბურთალო | სსიპ ქალაქ თბილისის 64-ე საჯარო სკოლა  | თამარ მამისკაშვილი                    | 2371200 | tbilisi64@mes.gov.ge          | ქ. თბილისი, ვ. ფშაველას ნა                         |
| 44 | ვაკე-საბურთალო | სსიპ ქალაქ თბილისის 123-ე საჯარო სკოლა | თამარ ლოსაბერიძე                      | 2370511 | tbilisi123@mes.gov.ge         | ქ. თბილისი, იმედაშვილის ქ. 4                       |
| 45 | ვაკე-საბურთალო | სსიპ ქალაქ თბილისის 62-ე საჯარო სკოლა  | ელენე შაბურიშვილი                     | 2371275 | elene_shaburishvili@yahoo.com | ქ. თბილისი, შარტავას 20                            |
| 46 | ძველი თბილისი  | სსიპ ქალაქ თბილისის 63-ე საჯარო სკოლა  | ნანა მელაძე - მოვალეობის შემსრულებელი | 2950764 | tbilisi63@mes.gov.ge          | ქ. თბილისი, უზნაძის ქუჩა 109                       |
| 47 | ძველი თბილისი  | სსიპ ქალაქ თბილისის 98-ე საჯარო სკოლა  | გიორგი მომცემლიძე                     | 2772111 | n98school@yahoo.com           | ქ. თბილისი, მარტყოფის ქუჩა 9                       |
| 48 | ისანი-სამგორი  | სსიპ ქალაქ თბილისის 89-ე საჯარო სკოლა  | მიმოზა ტყეშელაშვილი                   | 2779094 | tbilisi89@mes.gov.ge          | ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი 40            |
| 49 | ისანი-სამგორი  | სსიპ ქალაქ თბილისის 87-ე საჯარო სკოლა  | დავით ჭიჭიშვილი                       | 2775133 | tbilisi87@mes.gov.ge          | ქ. თბილისის ქ. დედოფლის გამზ. 90/2                 |

|    |                   |                                                                      |                        |           |                           |                                            |
|----|-------------------|----------------------------------------------------------------------|------------------------|-----------|---------------------------|--------------------------------------------|
| 50 | ისანი-სამგორი     | სსიპ ქალაქ თბილისის 81-ე საჯარო სკოლა                                | კარინა ბერმენიშვილი    | 2749510   | tbilisi81@mes.gov.ge      | ქ. თბილისი, ჩკალოვის ქუჩა 3                |
| 51 | ისანი-სამგორი     | სსიპ ქალაქ თბილისის 82-ე საჯარო სკოლა                                | ეკატერინე კვირიკაშვილი | 2701275   | school82t@yahoo.com       | ქ. თბილისი, ნაკადულის ქუჩა 6               |
| 52 | ისანი-სამგორი     | სსიპ ქალაქ თბილისის 83-ე საჯარო სკოლა                                | ნინელი ადამაშვილი      | 2707624   | tbilisi83@mes.gov.ge      | ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი 37            |
| 53 | ისანი-სამგორი     | სსიპ მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის 124-ე საჯარო სკოლა | მადონა მუმლაძე         |           | tbilisi124@mes.gov.ge     | ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი მე-2 კვარტალი |
| 54 | გლდანი-ნამალადევი | სსიპ ქალაქ თბილისის 175-ე საჯარო სკოლა                               | თინათინ ალავეძე        | 2645307   | skola.175@gmail.com       | ქ. თბილისი, მუხიანის მე-3 მ/რ              |
| 55 | გლდანი-ნამალადევი | სსიპ ქალაქ თბილისის 208-ე საჯარო სკოლა                               | თამარ კობახიძე         |           | sajaro208@yahoo.com       | ზაქესი, თავისუფლების ქ. N22                |
| 56 | გლდანი-ნამალადევი | სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს AIA- GESS                    | რუსუდან ბოლქვაძე       | 2145885   | aia.gess11@gmail.com      | ქ. თბილისი, იპოლიტოვ ივანოვის ქუჩა 10      |
| 57 | ძველი თბილისი     | სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის 43-ე საჯარო სკოლა       | სოფიო დედამაზიშვილი    | 322998865 | schooltbilisi43@gmail.com | ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა 40         |
| 58 | ძველი თბილისი     | სსიპ თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საჯარო სკოლა          | მანანა თურქაძე         | 2923525   | tbilisi51@mes.gov.ge      | ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქუჩა 2            |
| 59 | ძველი თბილისი     | სსიპ ქალაქ თბილისის კლასიკური გიმნაზია                               | თამარ კაპანაძე         | 2932628   | tcg1802@gmail.com         | ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N10         |

|    |                |                                                                              |                                                                   |                                             |                        |                                      |
|----|----------------|------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------|---------------------------------------------|------------------------|--------------------------------------|
| 60 | ძველი თბილისი  | სსიპ ქალაქ თბილისის 50-ე საჯარო სკოლა                                        | მანანა ალიბეგაშვილი                                               | 2998781                                     | tbilisi50@mes.gov.ge   | ქ. თბილისი, ქიქოძის ქუჩა 4           |
| 61 | ვაკე-საბურთალო | შპს სკოლა ერუდიტი                                                            | ქეთევან ჯანუაშვილი                                                | 0322309898;                                 | eruditichool@yahoo.com | ქ. თბილისი, ჯ. ნადირაძის ქუჩა 22     |
| 62 | ვაკე-საბურთალო | შპს ბაქსვედის საერთაშორისო სკოლა - თბილისი                                   | ალექსანდრე ვაშაკიძე                                               | 577992993                                   | admission@buckswood.ge | დაბა წყნეთი, რუსთაველის ქუჩა 52      |
| 63 | ვაკე-საბურთალო | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლა | მამუკა თედიაშვილი                                                 | 2316675                                     | ilia_martali@yahoo.com | ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი 51 |
| 64 | ვაკე-საბურთალო | შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი                            | ოზა ჯინჯიხაძე, ხ. კერესელიძე, მ. ანდრონიკაშვილი, ვ. ცხოვრებაშვილი | 2233712, 2233712, 2290371, 2250373, 2251201 | modzgvari2005@mail.ru  | ქ. ფალიაშვილის ქ. 42                 |
| 65 | ვაკე-საბურთალო | სსიპ თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა                            | ხათუნა ბარაბაძე                                                   | 2389044                                     | tbilisiexp@mes.gov.ge  | ქ. თბილისი, საირმის ქუჩა 84          |
| 66 | ვაკე-საბურთალო | შპს ევროპული სკოლა                                                           | სოფიო ბაზაძე                                                      | 032 2394494; 032 2395964;                   | info@europeanschool.ge | თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა 34გ |

დანართი N3 - კითხვარი სკოლებისთვის

|                                                        |  |
|--------------------------------------------------------|--|
| სკოლის სრული დასახელება                                |  |
| დირექტორის სახელი და გვარი                             |  |
| დირექტორის საკონტაქტო ინფორმაცია<br>(მობილურის ნომერი) |  |
| სკოლის ელ.ფოსტა                                        |  |
| სკოლის ტელეფონის ნომერი                                |  |
| სკოლის მისამართი (ქუჩა / ნომერი /<br>საფოსტო ინდექსი)  |  |

| მონიშნეთ შესაბამისი რეგიონი (თბილისის შემთხვევაში, რაიონი), სადაც მდებარეობს სკოლა |                               |
|------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------|
| მონიშნეთ ერთი პასუხი                                                               |                               |
| <input type="checkbox"/>                                                           | სამეგრელო-ზემო სვანეთი        |
| <input type="checkbox"/>                                                           | კახეთი                        |
| <input type="checkbox"/>                                                           | ქვემო ქართლი                  |
| <input type="checkbox"/>                                                           | მცხეთა-მთიანეთი               |
| <input type="checkbox"/>                                                           | აფხაზეთი                      |
| <input type="checkbox"/>                                                           | შიდა ქართლი                   |
| <input type="checkbox"/>                                                           | სამცხე-ჯავახეთი               |
| <input type="checkbox"/>                                                           | იმერეთი                       |
| <input type="checkbox"/>                                                           | გურია                         |
| <input type="checkbox"/>                                                           | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი |
| <input type="checkbox"/>                                                           | აჭარა                         |
|                                                                                    | <b>თბილისი</b>                |
| <input type="checkbox"/>                                                           | გლდან-ნამალადევი              |
| <input type="checkbox"/>                                                           | ვაკე-საბურთალო                |
| <input type="checkbox"/>                                                           | დიდუბე-ჩუღურეთი               |
| <input type="checkbox"/>                                                           | ძველი თბილისი                 |
| <input type="checkbox"/>                                                           | ისანი-სამგორი                 |
| <input type="checkbox"/>                                                           | დიდგორი                       |

| სექტორი (ბილინგვურის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ ენა დამატებით გრაფაში) |            |
|---------------------------------------------------------------------------|------------|
| მონიშნეთ ყველა შესაბამისი პასუხი                                          |            |
| <input type="checkbox"/>                                                  | ქართული    |
| <input type="checkbox"/>                                                  | ბილინგვური |
| <input type="checkbox"/>                                                  | სხვა:      |

| სწავლების საფეხურები             |                    |
|----------------------------------|--------------------|
| მონიშნეთ ყველა შესაბამისი პასუხი |                    |
| <input type="checkbox"/>         | დაწყებითი საფეხური |
| <input type="checkbox"/>         | საბაზო საფეხური    |
| <input type="checkbox"/>         | საშუალო საფეხური   |

| რამდენ ცვლიანი სწავლაა სკოლაში?  |      |
|----------------------------------|------|
| მონიშნეთ ყველა შესაბამისი პასუხი |      |
| <input type="checkbox"/>         | ერთი |

|                          |       |
|--------------------------|-------|
| <input type="checkbox"/> | ორი   |
| <input type="checkbox"/> | სხვა: |

|                                                                                                                                             |                                 |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------|
| <b>სკოლა თუ ახორციელებს გაძლიერებულ სწავლებას რომელიმე მიმართულებით? (არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითეთ საგანი დამატებით გრაფაში)</b> |                                 |
| მონიშნეთ ყველა შესაბამისი პასუხი                                                                                                            |                                 |
| <input type="checkbox"/>                                                                                                                    | არცერთი საგნობრივი მიმართულებით |
| <input type="checkbox"/>                                                                                                                    | კი                              |
